



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 5
25/01/2016

5-06-4-201601251208



ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების გრაფიკი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (ეროდი გორდელაძე).
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ. N14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო